ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების

X სემესტრის სტუდენტის **თეკლა ცომაიას**

საბაკალავრო ნაშრომი

ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქება თანამედროვე ქართულ მედიაში

(ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „კურიერის“ 21-სთ.-იანი გამოშვების 03.2022 -03.2023 მაუწყებლობის მაგალითზე)

საბაკალავრო ნაშრომი შესრულებულია
ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე,
თსუ ასისტენტ-პროფესორი, ჟურნალისტიკს
დოქტორი, Ph.D

თბილისი, 2023

ანოტაცია

საზოგადოების ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფი, რომელსაც მუდმივი მხარდაჭერა, დახმარება და აღზრდა სჭირდება, არიან ბავშვები. ბავშვი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია - ინდივიდი, საკუთარი აზროვნებითა და სურვილებით.

„სათუთი“ ასაკიდან და ცხოვრებისეული გამოუცდელობიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა უფლებები ხშირად ირღვევა, მათ შორის, მედიის მხრიდანაც.

მასმედია ჩვენი ყოველდღიურ ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა, დაიცვას ბავშვის ინტერესები და უფლებები, იხელმძღვანელოს უმაღლესი ეთიკური და პროფესიული ნორმებით.

მედიაში ბავშვთა საკითხების არასათანადო გაშუქება არასრულწლოვანთა მტკივნეულ პრობლემად შეიძლება იქცეს და სავალალო შედეგი გამოიწვიოს.

წინამდებარე საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია, გავარკვიოთ: რა ტენდენციები იკვეთება ბავშვთა საკითხების გაშუქებისას; იცავს თუ არა თანამედროვე ქართული სატელევიზიო მედია (კონკრეტულად, ტელეკომპანია „რუსთავი 2”) პროფესიულ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქებისას.

ჩვენი ამოცანაა, დავადგინოთ რამდენად სწორად იყენებს საკვლევი მედიასაშუალება იმ ფუნქციებს, რაც ადამიანის და, კონკრეტულად ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას აკისრია, შუქდება თუ არა პრობლემები სიღრმისეულად და რაოდენ ხშირად ეთმობა ბავშვთა პრობლემატიკას სატელევიზიო ეთერი.

Tekla Tsomaia

Coverage of violence against children in modern Georgian media

(Television company "Rustavi 2" program on the example of the 21-hour edition of "Courier" 03.2022 - 03.2023).

Annotation.

Children are one of the most vulnerable groups of society that need constant support, help and education. A child is a full-fledged member of society, an individual with his own thoughts and desires.

Due to their "tender" age and life inexperience, the rights of minors are often violated, including by the media.

Mass media is an integral part of our daily life and bears the greatest responsibility to protect the interests and rights of children, to be guided by the highest ethical and professional norms.

Improper coverage of children's issues in the media can become a painful problem for minors and lead to tragic results.

The purpose of this bachelor qualification paper is to find out: what trends are observed in the coverage of children's issues; Does modern Georgian television media (specifically, "Rustavi 2" TV company) follow professional standards and ethical norms when reporting violence against children?

Our task is to determine how correctly the research media uses the functions it assumes in covering human and specifically child-related issues, whether the problems are covered in depth and how often children's issues are covered on television.

სარჩევი:

- ანოტაცია .....
- შესავალი.....1
  - კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები.....4
  - საკვლევი თემის აქტუალურობა.....4
- I თავი: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....5
  - თეორიული ჩარჩო 10
- II თავი: კვლევის დიზაინი 12
- III თავი: კვლევის მეთოდოლოგია 13
- IV თავი: რელევანტური სამართლებრივი წყაროები 18
- V თავი: ემპირიული ველი: ტელეკომპანია „რუსთავი-2“ - ისტორიული რაკურსი და თანამედროვე გამოცდილება.....20
- VI თავი: ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქების პრობლემატიკა ქართულ მედიაში 21 საათიანი „კურიერის“ მაგალითზე.....21
- დასკვნა:
  - ძირითადი შედეგები 27
  - რეკომენდაციები 29
- ბიბლიოგრაფია 31
- დანართები 34

შესავალი

საზოგადოების ცხოვრებაში მედია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მედიასაშუალებების დახმარებით ხდება აუდიტორიის ინფორმირება უახლესი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ. მედიასაშუალების მომხმარებელი ეცნობა ახალ ამბებს, აანალიზებს მიმდინარე მოვლენებს, შეიმეცნებს და ერთობა.

თუმცა უპირველესი მიზანი, რის გამოც ჟურნალისტიკა შეიქმნა, მაინც მის ინფორმაციულ ფუქნციას უკავშირდება. მასმედიას მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია, უზრუნველოს მოქალაქეები ყველა სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებით.

ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დეკლარაციით განსაზღვრულია საზოგადოების სუვერენული უფლება, რომ ყოველმა ადამიანმა, შეზღდუვებისა და დამახინჯების გარეშე, მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია.[1]

ჟურნალისტები, თავიანთი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა დამცველებად მოიაზრებიან. ისინი ასრულებენ საზოგადოების თვალის, ყურისა და ხმის როლს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ადამიანის, მეტადრე კი არასრულწლოვანის უფლებათა გაშუქებას შეუძლია დიდი ზემოქმედება მოახდინოს ნებისმიერი გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომელიც ბავშვებს უკავშირდება.

თუკი არასრულწლოვანთა გარშემო არსებულ პრობელემებს არ ეთმობა საკმარისი დრო ან გაშუქების ხარისხი არაა წამოწეული პრობლემის ადეკვატური, ამან, შესაძლოა, მოზარდის მომდევნო განვითარებაზე ნეგატიურად იმოქმედოს. ცნობილია, რომ ინდივიდის ფსიქო-ფიზიკური და სოციალური ჩამოყალიბება სწორედ ადრეული პერიოდიდან იწყება. შესაბამისად, ბავშვობაში მომხდარი არასასიამოვნო ფაქტი, შესაძლოა, პიროვნების სოციალიზაციის შემაფერხებელ მიზეზად იქცეს. საინტერესოა, რა როლი მიუძღვის ამ პროცესებში მედიას.
წინამდებარე ნაშრომის მიზანია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ფუნქციონირების მაგალითზე ბავშვთა ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქების ხარისხის შესწავლა.

[1] https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (ბ.ნ.: 06.04.2023)

ტერმინი „ძალადობა“ ნიშნავს ძალის აშკარა ან ფარულ გამოყენებას ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისაგან, ნებისმიერი ქმედებითა თუ სიტყვით, რომელიც იწვევს ადამიანის შეურაცხჰყოფას, ზიანის მიყენებას, კანონით გათვალისწინებული უფლებების, ხელშეუხებლობის, თავისუფლებისა და ღირსების შელახვას.[2]

ბავშვები, მათი ასაკისა და ფსიქოლოგიური წყობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებენ. მათთვის საკმაოდ რთული პროცესია სოციალიზაცია და ვერ იცავენ თავს გარემოს მავნე ზეგავლენისგან, აგრესიისა და ძალადობისგან.

ბავშვები, თავიანთი ასაკიდან გამომდინარე, ყალიბდებიან და ვითარდებიან, შესაბამისად მათთვის ნებისმიერი ფაქტორი - დადებითი თუ უარყოფითი, შინაგან სამყაროზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს.

უსაზღვრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ძალიან საყურადღებოა მედიის როლი, რომელიც მოზარდისათვის პოზიტიური თუ ნეგატიური იმპულსისა და ემოციების მიმცემი შეიძლება აღმოჩნდეს.

ბავშვი, როგორც პიროვნება – ამ კუთხით გაშუქებულ სიუჟეტებს ქართულ მედიაში, თითქმის, ვერასდროს ვხვდებით. მედიისთვის, ხშირ შემთხვევაში, პრიორიტეტულია კონკრეტული თემიდან გამოიყვანოს სენსაციური და სკანდალური ამბავი, ეს კი განსაკუთრებულად რთულ ფორმას იძენს მაშინ, როდესაც საქმე არასრულწლოვანს ეხება.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, უმეტეს შემთხვევაში, კომერციული მოტივი ამოძრავებთ. მათი ზემოქმედების ძალა კი იმდენად დიდია, რომ გასაკვირი არ არის რიგ ქვეყნებში გაჟღერებული სასოწარკვეთილი მოწოდებები კონტროლისა და გარკვეული ფარგლების დაწესებისაკენ.

ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ, გაშუქებისას ირღვევა თუ არა პროფესიული სტანდარტი, რომელსაც ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ჟურნალისტური ქცევის კოდექსი და, ზოგადად, ჟურნალისტის პირადი ეთიკა არეგულირებს.

ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, ზუსტი ფორმულირება არც არსებობდეს, თუ როგორ უნდა გაშუქდეს კონკრეტული საკითხი. ასეთ შემთხვევაში, კოდექსთან ერთად, უნდა მოქმედებდეს სწორედ ჟურნალისტის პირადი პასუხისმგებლობა და პროფესიული ეთიკა.

მედიის მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობის განხილვისას ხშირად იკვეთება პრობლემის სიღრმისეული ანალიზის ნაკლებობა, ბავშვთა კონფიდენციალურობის დარღვევა, სენსაციური ხასიათის სიუჟეტების სიჭარბე.

---

[2] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2353; Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი. (ბ.ნ. 07.04.23)

ბავშვთა მიმართ ძალადობა არის ის საკითხი, რომლის გაშუქების პროცესში ჟურნალისტს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია. საკითხზე მუშაობისას ჟურნალისტმა უმკაცრესად უნდა დაიცვას პროფესიული სტანდარტები და ეთიკის ნორმები. არსებობს შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტს სიღრმისეულად არ ესმის და ვერ იაზრებს, რაოდენ სენსიტიური და მრავლისმომცველია პრობლემა და მცირე გადაცდენამაც კი შეიძლება სავალალო შედეგი გამოიწვიოს.
მაუწყებლები ძალადობის ფაქტებს მაყურებლის ,,მისაზიდად" იყენებენ ხოლმე, რაც სიუჟეტში ძალადობასთან დაკავშირებული სხვადასხვა დეტალის ჩვენებით ხდება. ამ ქმედებით მედიასაშუალების მხრიდან ირღვევა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის"[3] კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მაყურებელთა დაცვას „პოტენციური ზიანისა და შეურაცხყოფისაგან". ნებისმიერ მაყურებელს, თითოეულ ადამიანს აქვს ინდივიდუალური ბუნება და იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულ ადამიანს რა რეაქცია შეიძლება ჰქონდეს, როგორ შეიძლება იმოქმედოს ნანახმა სიუჟეტმა, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, სწორედ ამიტომ მაუწყებელმა უნდა მოახერხოს ყველა კატეგორიაზე ზრუნვა, მათი დაცვა შესაძლო ტრავმისა და ზიანისგან, რაც მომხდარის დეტალურმა რეპრეზენტაციამ შეიძლება გამოიწვიოს. ჟურნალისტი უნდა ეცადოს, გაუფრთხილდეს მაყურებლის ფსიქიკას და მისი ტრავმირება არ გამოიწვიოს.

საკითხის მგრძნობელობის გათვალისწინებით, ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქება არის ის საკითხი, რომლის გაშუქების პროცესში საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება. მაუწყებლებმა კი უნდა იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით.
ბავშვებს უნდა სჯერდეთ და ჰქონდეთ იმის მოლოდინი, რომ მათზე ინფორმაციის გაშუქებას, მხარდაჭერა და დახმარება მოყვება, გატარდება სათანადო ღონისძიებები პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან.

ჟურნალისტისგან და მედია წარმომადგენლებისგან ბავშვთა უფლებების სიღრმისეული გააზრება, გაცნობიერება და პატივისცემა პროფესიული და სოციალური პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0 „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი" (ბ.ნ:10.06.23)

კვლევის მიზანია, დავადგინოთ:

- იცავს თუ არა თანამედროვე ქართული მედია პროფესიულ სტანდარტებს და ეთიკის ნორმებს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების გაშუქებისას;
- ტელეკომპანია ,,რუსთავი 2"-ის ჟურნალისტები, ძალადობის გაშუქების პროცესში, თავად ხომ არ ეწევიან ბავშვთა დისკრიმინაციას და ხდებიან მეორეული ტრავმატიზაციის წყარო.

კვლევის ამოცანაა დავადგინოთ:

- სწორად იყენებს თუ არა საკვლევი მედიასაშუალება იმ ფუნქციებს, რაც სპეციფიკური ჯგუფების გაშუქებისას აკისრია;
- არის თუ არა გაშუქება სრულყოფილი და სიღრმისეული;
- რამდენად ხშირია მედიასაშუალების მიერ ბავშვთა უფლებების დარღვევა.

აღნიშნული ამოცანების დასადგენად, შევარჩიეთ და შემოვსაზღვრეთ ერთწლიანი საკვლევი პერიოდი: 2022 წლის მარტის თვიდან 2023 წლის მარტის თვემდე და დროის ამ მონაკვეთში შევისწავლეთ კონკრეტული მედიაარხის ჟურნალისტთა საქმიანობა ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქებასთან მიმართებაში.

საკვლევი თემის აქტუალურობა:

ბავშვთა მიმართ დისკრიმინაცია და სხვადასხვა ფორმით მათი უფლებების დარღვევის ფაქტები, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია.

მედიასაშუალებები არიან მთავარი ინფორმატორები საზოგადოებისთვის და ხშირად ხდება, რომ სენსაციური ხასიათის სიუჟეტების სიჭარბის, არასათანადო გაშუქებისა და პროფესიული სტანდარტებისა და წესების დარღვევით საზოგადოებამდე მიდის არასანდო ინფორმაცია. უარეს შემთხვევაში კი მედიასაშუალება თავად გვევლინება ბავშვთა დისკრიმინაციის მიზეზად და არასწორი აქცენტებით დიდ ზიანს აყენებს მათ, რაც წლიდან წლამდე აქტუალურ პრობლემად რჩება და მისი შესწავლა-ანალიზი დიდ ყურადღებას მოითხოვს.

I თავი: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვაა, რომელიც არსებული გამოცდილების გაზიარებით, ორიენტირების მოძიებასა და ემპირიული ველის უკეთ გააზრებაში დაგვეხმარა. შესწავლილ იქნა, როგორც უცხოენოვანი, ისე ქართული წყაროები: მონოგრაფიები, სამეცნიერო პუბლიკაციები, მედიამონიტორინგების ანგარიშები და მეთოდური ლიტერატურა: სახელმძღვანელოები.

ლიტერატურის მიმოხილვა ხელს უწყობს კვლევის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებას, თემის დამუშავების შეფასებას, კვლევის მიმართულების არჩევის დასაბუთებას.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მონაწილეობით 2011 წელს გამოიცა წიგნი- ,,მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები''.[4] ესაა იმ ძირითადი წესებისა და პრინციპების ნაკრები, რომლებიც ჟურნალისტებმა უნდა დაიცვან, რათა გაშუქებისას ბავშვთა უფლებებს ზიანი არ მიადგეს. დეტალურადაა აღწერილი საქართველოში მოქმედი კანონები და ნორმები, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმძღვანელო პრინციპები და მითითებები, რომლებიც ეხება ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს. აქვე ხელმისაწვდომია მაუწყებელთა ქცევის კოდექსებიდან თემატური ამონარიდები და კოდექსის ძირითადი პრინციპები, ასევე საქართველოს ჟურნალისტური ეთიკიის საქმის წარმოების წესი და მასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები.

,,ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში'' –ბრიტანელი ჟურნალისტისა და მკვლევრის, მაიკ ჯემპსონისა და ქართველი თანაავტორების მიერ 2008 წელს გამოცემული სახელმძღვანელოა.[5] ქართული ვერსიის თანაავტორები არიან: ირინა ღვინერია, ნინო ჭალაგანიძე, დალი ოსეფაშვილი, თინათინ ცომაია და მაია ქურციკიძე. სახელმძღვანელოში არსებული და წარმოდგენილი მეთოდოლიგიური რეკომენდაციები კვლევლის ჩატარების პროცესში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რადგან სრული სიზუსტითაა ახსნილი, როგორ უნდა შექმნას პროფესიონალმა ჟურნალისტმა კვალიფიციური პუბლიკაცია და ტელე-რადიო გადაცემა ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებით. ასევე საშუალება გვაქვს, გავეცნოთ საკონტროლო კითხვებს, რომლებიც გვეხმარება გავიაზროთ, თუ რამდენად სწორი მიმართულებით,

[4] https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/Standard_media_childthemes-ge.pdf მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები (ბ.ნ.:17.06.23)

[5] https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/76798 ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში: სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის / თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გაეროს ბავშვთა ფონდი (ბ.ნ.:20.06.23)

სტანდარტების დაცვითა და ბავშვთა უფლებების სრული გათვალისწინებით მზადდება მასალა.

საკვლევი თემიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ სახელმძღვანელოს ორ მნიშვნელოვან თავზე - ბავშვები და დისკრიმინაცია (გვ.17), ბავშვები და სექსუალური ძალადობა (გვ.56).

საკვლევ თემაზე ყველა მომუშავე პირისთვის არის საპასუხისმგებლო შემდეგი მითითებების გააზრება და გათვალისწინება:

- ✓ კონკრეტულ შემთხვევებში დაუშვებელია არასრულწოვნის იდენტიფიცირება;
- ✓ ფოტოს ან ვიდეოს გადაღება მშობლის ან მეურვის ნებართვითაა შესაძლებელი;
- ✓ პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია;
- ✓ აუცილებელია ,,საზოგადობრივი ინტერესის'' განსაზღვრა;
- ✓ აუცილებელია კონფიდენციალურობის წესის მიხედვით, წყაროების დაცვა;
- ✓ ფარული გამოძიების მეთოდების გამოყენება დაუშვებელია;
- ✓ მასმედია, ადამიანის უფლებების სწორად გაშუქების მიზნით, თანამშრომლობს ძალოვან უწყებებთან; მას აქვს ოფიციალური წყაროების ხელმისაწვდომობა და ამ წყარობის გამოყენების უფლება.

დანართში- N6 ვხვდებით ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მითითებებს და დეტალურ რეკომანდაციებს მასმედიაში პრობლემის გაშუქების შესახებ. მნიშვნელოვნად არის ყურადღება გამახვილებული სენსაციურ მასალებზე და მათი თავიდან აცილების მეთოდებზე, ბავშვთა ვინაობის და კოფიდენციალურობის დაცვასა და საზოგადოებამდე უტყუარი, გადამოწმებული ინფორმაციის მიტანის მნიშვნელობაზე.

ნაშრომის დამუშავებისთვის ნიშანდობლივია ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები,[6] რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ არის შემუშავებული და დეტალურადაა გაწერილი და განხილული ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებიც უკავშირდება თემატური გაშუქების ზოგად პრინციპებს, მშობლისგან/მეურვისგან ნებართვას, კომუნიკაციას ბავშვთან, ბავშვის დაფარვას, ძალადობასა და ტრავმას, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს, არასრულწლოვანთა სუიციდს.

[6] https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-10/bavshvta-sakitxebis-gashuqeba.pdf
ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები. (ბ.ნ.:07.05.2023)

2015 წელს გამოცემული კვლევა: ”COVERAGE OF CHILDREN ISSUES IN MODERN GEORGIAN MEDIA”,[7] ექვსთვიან პერიოდს შეისწავლის და ქართულ თანამედროვე მედიაში გაშუქებული მასალების ანალიზს წარმოადგენს. სტატიაში გამოვლენილია პრობლემებია: ბავშვთა საკითხების დრამატიზებული გაშუქება; გამოსახვითი საშუალებების გამოყენება მაყურებლის მანიპულირებისთვის; ძალადობის მსხვერპლის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველი ბავშვების პირდაპირი და ირიბი იდენტიფიცირება; ბავშვთა საკითხების ფრაგმენტული გაშუქება და სხვა.

ასევე ნიშანდობლივია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ჩატარებული მედიამონიტორინგი. ანგარიში 2017 წლის 1 აპრილიდან 1 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს.[8] კვლევის პერიოდში ქარტიის მონიტორებმა შეისწავლეს 11000-ზე მეტი სიუჟეტი და სტატია, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არასრულწლოვნებს ეხებოდა. მონიტორინგის პროცესში გამოიყენებოდა ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. მონიტორინგის მიზანი იყო ბავშთა საკითხებთან დაკავშირებული მასალების შესწავლა და გაანალიზება, თუ რამდენად იყო დაცული ბავშვების უფლებები, ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.
ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშში თავმოყრილია ინფორმაცია ძირითადი ტენდენციების, გამოკვეთილი პრობლემებისა და ხარვეზების შესახებ. ანგარიშზე დაყრდნობით, ცხადი ხდება წინა წლებთან შედარებით რიგ საკითხებში მდგომარეობის გაუმჯობესება, თუმცა პროფესიული ხარვეზების ნაწილი კვლაც გამოწვევად რჩება. ესაა: ბრალდებულ არასრულწლოვნთა ვინაობის გამჟღავნება, შემთხვევების სენსაციურ ჭრილში გაშუქება და ბავშვის ამა თუ იმ ნიშნით სტიგმატიზება და სხვა.

სამეცნიერო პუბლიკაცია “Child abuse and the media“ მკვლევარ სანდერსსა და გოდარდს ეკუთვნის.[9] ავტორები შემთხვევათა ანალიზის პრინციპით, კონკრეტულ ქეისებზე დაყრდნობით განიხილავენ მედიის მიერ ბავშვთა ძალადობის გაშუქების ტენდენციებს. ისინი ხაზს უსვამენ არასწორი გაშუქების უარყოფით შედეგებს, როგორც არასრულწლოვნებისთვის, ასევე მათი ოჯახებისთვის.

---

[7] https://www.researchgate.net/profile/Nino-Chalaganidze/publication/328634963_COVERAGE_OF_CHILDREN_ISSUES_IN_MODERN_GEORGIAN_MEDIA/links/5bd99d944585150b2b93cf3d/COVERAGE-OF-CHILDREN-ISSUES-IN- Chalaganidze N., COVERAGE OF CHILDREN ISSUES IN MODERN GEORGIAN MEDIA, International Journal of Multidisciplinary Thought (ბ.ნ.:04.05.23)

[8] https://www.qartia.ge/media/1000907/2017/12/26/9fdd88608fdf1dcc781c434605dfa9e4.pdf საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში, 2017 (ბ.ნ.:09.05.23)

[9] https://aifs.gov.au/resources/policy-and-practice-papers/child-abuse-and-media Child abuse and the media, Chris Goddard, Bernadette J. Saunders, 2001. (ბ.ნ.: 10.05.23)

კვლევის მიმდინარეობისას ასევე გავეცანით- ,,Suggested Practices for Journalists Reporting on Child abuse and Neglect'',[10] გზამკვლევს, რომელიც შემუშავებულია იმისათვის, რომ მოცემული პრაქტიკებით, რჩევებით და წესებით, ჟურნალისტებმა შექმნან ხარისხიანი პროდუქტი ბავშვთა ძალადობის გაშუქებისას. არა თუ დააზიანონ და ტრამვა მიაყენონ ბავშვებს, არამედ მოახდინონ პრევენცია ყველა მსგავსი ვითარების და ხელი შეუწყონ ბავშვთა უსაფრთხო, სტაბილურ და მშვიდ გარემოს.

გამოვყოფთ, ნაშრომში არსებულ შეტყობინებების საკონტროლო სიას ჟურნალისტებისთვის, ბავშვზე ძალადობის და დისკრიმინაციის გაშუქებისას: ჟურნალისტმა უნდა გამოიკვლიოს ყველა ის ფაქტორი, რომელმაც ნებისმიერი სახით შეიძლება ხელი შეუწყოს ბავშვზე ძალადობასა და მის ტრამვირებას, ასევე ნებისმიერი სახის გავლენა ბავშვებზე, ოჯახებსა და საზოგადოებაზე, სოციალური და სხვა ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვანთა დისკრიმინაციას, ბავშვთა ოჯახური გარემოება, სტრესული ფქტორები.

მოახდინოს ფოკუსირება ძალადობის პრევენციის სტრატეგიებზე, გამოიყენოს საზოგადოების რეალური მაგალითები და მონაცემები იმის წარმოსადგენად, თუ როგორ გამოიყენოს და დაიხმაროს პრევენციის სტრატეგიები.

სექსუალური ძალადობის შესახებ მოხსენებისას ჟურნალისტმა ყოველი სიტყვა უნდა გამოიყენოს ძალიან დიდი სიფრთხილით, ისაუბროს კონკრეტულად.

ყოველმა ჟურნალისტმა უნდა დაიცვას ბავშვთა ყველა უფლება და აარიდონ მათ დამატებითი ზიანი, მეორეული ტრავმატიზაცია.

საკუთრივ, ბავშვთა საკითხების დარგობრივი ლიტერატურის გარდა, გავაანალიზეთ ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის ფუნდამენტური დებულებები, მედიის ტიპოლოგიის ამსახველი მასალები: ქართველი მკვლევარების, ზ. ქორიძის, ი. ანთაძის შრომები, ბრიტანელი პრაქტიკოსის მ. ჯემპსონის, ბ. ფრანკლინის Children's rights and media wrongs, Changing representations of children and the developing rights agenda, Book: The New Handbook of Children's Rights[11], ლივინგსტონის Reframing media effects in terms of children's rights in the digital age[12] და სხვა სამეცნიერო შრომები.

---

[10] https://www.cdc.gov/violenceprevention/pdf/childmaltreatment/journalists-guide.pdf
Suggested Practices for Journalists Reporting on Child abuse and Neglect, National Center for Injury Prevention and Control Division of Violence Prevention (ბ.ნ:12.05.23)

[11] https://www.taylorfrancis.com/chapters/edit/10.4324/9780203405963-5/children-rights-media-wrongs-bob-franklin Children's rights and media wrongs, Changing representations of children and the developing rights agenda, Book: The New Handbook of Children's Rights, Bob Franklin, 2001 (ბ.ნ.:05.06.23)

[12] http://eprints.lse.ac.uk/65156/1/Livingstone_Reframing%20media%20effect.pdf Reframing media effects in terms of children's rights in the digital age, Sonia Livingstone (ბ.ნ.:06.06.23)

საქართველოში დასაქმებულ ჟურნალისტებს თამამად შეუძლიათ ბავშვთა საკითხების გაშუქების უკვე ორი დასახელების სახელმძღვანელოთი სარგებლობა.

„მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები „- ასე ჰქვია წიგნს, რომელიც სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2011 წელს გამოიცა.[13] წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახალმძღვანელო მითითებები და პრინციპები, რომლებიც ბავშვთა სკითხებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს ეხება. გარდა ამისა, აღწერილია საქართველოში მოქმედი კანონები და ნორმები.

,,ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა - უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა'' - UNICEF -ის მიერ 2011 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოა. [14] წიგნში დეტალურადაა განხილული, თუ როგორ უნდა იმუშავონ ბავშვთა საკითხებზე მათი უფლებების შეულახავად. ავტორი საფუძვლიანად ხსნის არასრულწლოვნების უფლებებს და მოჰყავს მათი უხეშად დარღვევის მაგალითები.

ამასთან, ბავშვთა ფონდის დაკვეთითა და ხელშეწყობით, თითქმის ყოველწლიურად იბეჭდება საქართველოში მცხოვრებ არასრულწლოვანთა შესახებ მედიაში გაშუქების ამსახველი სპეციალური კვლევები.

ერთ-ერთი ასეთია UNICEF - ის დაკვეთით ჩატარებული კვლევა სიტუაციური ანალიზის შესახებ. მკვლევარი ზვიად ქორიძე 2008 წლის პირველი ნახევრის ბეჭდური და ელექტრონული მედიის ანალიზს აწარმოებს. [15]

ასევე 2011 წელს ჩატარდა კვლევა, ნინოს დანელიას მერ, რომელმაც შეისწავლა ხუთი ქართული ტელეკომპანიის მიერ, ახალი ამბების ძირითად გამოშვებებში, რამდენად პროფესიულად შუქდება ბავშვთა საკითხები.[16]

---

[13] https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/Standard_media_childthemes-ge.pdf მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, გაეროს ბავშვთა ფონდი (ბ.ნ.:07.06.23)

[14] https://shorturl.at/tFSW1 - ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა - უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა / გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა. (ბ.ნ.:07.06.23)

[15] ქორიძე. ზ, ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედიაეთიკა საქართველოში – სიტუაციური ანალიზი. 2008 წ. (ბ.ნ:09.06.23)

[16]https://mdfgeorgia.ge/uploads/Bavshvta_sakitxebis_gashukeba_qartul_satelevizio_mediashi.pdf?fbclid=IwAR2oslSmXv19VzhCd2ap1exTvnif7veJSjYRg555K8jgPjoXP71K8L9i8-o ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში, ნინო დანელია, 2011.(ბ.ნ.:09.06.23)

მკვლევარმა სიუჟეტების მნიშვნელოვან ნაწილში აღმოაჩინა ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტების დარღვევა და მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელყოფასთან და უფლებების დარღვევასთან არის დაკავშირებული.

კვლევის თეორიული ჩარჩო

დენის მაკქუეილის ერთ-ერთი თეორიაა - სოციალური პასუხისმგებლობის მედიათეორია, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობის მქონე მედიამ უნდა უზრუნველყოს დღის მოვლენების სრული ანგარიში, მოახდინოს საზოგადოების ინტეგრაცია, გააჟღეროს ყველა ჯგუფის ხმა და გამოხატოს მისი მრავალფეროვნება.[17] მედია უნდა იცავდეს ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსებს, განსაზღვრულ ნორმებსა და კულტურულ ფასეულობებს, იყოს თავისუფალი, მაგრამ თვითრეგულირებადი. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და მათ წინაშე იყოს ანგარიშვალდებული.
ასევე დენის მაკქუეილის თეორიაა- ნდობის მოდელი, რომლის თანახმად მედიის მიზნად მოისაზრება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებსა და აუდიტორიას შორის კავშირის დამყარება. ჟურნალისტების აქცენტი უნდა იყოს იმ ამბებზე, რომლებიც აუცილებელია მიეწოდოს მოქალაქეებს და ამაღლდეს მათი ცნობიერება, რაც სამოქალაქო დიალოგის ინიცირებაში თამაშობს დიდ როლს.[18]

ფრეიმინგის ერთ-ერთი თეორიაა - დღის წესრიგის ფორმირების თეორია.[19] დღესდღეობით მასობრივი კომუნიკაციები სოციუმის განუყოფელი ნაწილია, საზოგადობის ინფორმირებისა და ახალ ამბებზე ხელმისაწვდომობის სამართავად გეითფინგი და დღის წესრიგის ფორმირებაა შემუშავებული.
ის გზა, რომელსაც ახალი ამბავი (მოიცავს ნებისმიერ სფეროს), გადის საზოგადოებაში გავრცელებამდე, გეითფინგია და ბევრი ადამიანის ჩართულობით ხდება. გადაწყვეტილებას ხშირად იღებენ თავად ჟურნალისტები, პროდიუსერები,

[17] http://www.bou.ac.ir/portal/file/?171392/Mass.Communication.Theory.6th.Edition-(McQuails)-.pdf McQuail's Mass Communication Theory 6th edition, Denis McQuail (ბ.ნ.:20.06.23)
[18] http://www.bou.ac.ir/portal/file/?171392/Mass.Communication.Theory.6th.Edition-(McQuails)-.pdf McQuail's Mass Communication Theory 6th edition, Denis McQuail (ბ.ნ.:20.06.23)
[19] https://masscommtheory.com/theory-overviews/framing-theory/ Mass Communication Theory, Framing Theory (ბ.ნ.:20.06.23)

გამომცემლები და რედაქტორები, როდესაც ირჩევენ კონკრეტულ საკითხსა და პრობლემას გასაშუქებლად, ირჩევენ რა კუთხითა და რა აქცენტებით მივიდეს ამბავი აუდიტორიამდე.
სხვადასხვა მედიასაშუალებები დღის წესრიგის ფორმირებას განსხვავებული გზებით, სპეციფიკის გათვალისწინებით ადგენენ.

II თავი: კვლევის დიზაინი

სამეცნიერო კვლევაში მნიშვნელოვანია მისი გაწერილი სტრუქტურა და ნაწილების მიზან-შედეგობრივი დაკავშირება. კვლევის დიზაინი არის ჩარჩო, რომლის საშუალებითაც მკვლევარი გეგმავს საკუთარ კვლევას და მოიცავს კვლევის ტიპს, ტექნიკას, მონაცემთა ანალიზსა და კვლევის ჩატარების პროცედურას. შესაძლებელი ხდება კვლევის პარამეტრების დადგენა და ნაშრომის სტრუქტურის განსაზღვრა. მოცემული ნაშრომი რამდენიმე ნაწილისა და ქვეთავებისგან შედგება. იწყება შესავლით, სადაც განვიხილავთ საკვლევი თემის აქტუალურობას, წარმოვადგენთ ხედვას, თუ რატომ დავინტერესდით აღნიშნული თემით, რატომ არის მნიშვნელოვანი და რა კითხვებზე გაგვცემს პასუხს კვლევის ჩატარება. აგრეთვე, გამოვყოფთ კვლევის ძირითადად მიზნებსა და ამოცანებს, რომლითაც ვიგებთ, რა უნდა დავადგინოთ კვლევის დასასრულს.

შესავლის შემდეგ წინამდებარე ნაშრომის პირველი თავი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვაა, სადაც ნაშრომის მომზადების პროცესში გამოყენებული ყველანაირი მასალისის ანალიზია წარმოდგენილი. გვხვდება, როგორც ქართული, ასევე უცხოური მონოგრაფიები, სამეცნიერო პუბლიკაციები, მედიამონიტორინგების ანგარიშები და სახელმძღვანელოები. ქვეთავად კი წარმოდგენილია კვლევის თეორიულ ჩარჩო, სადაც საკვლევი თემის შესაბამისი მედიათეორიები განვიხილეთ. შემდეგ კვლევის მეთოდოლოგიას ვხვდებით, რომელიც მოიცავს იმ მეთოდების აღწერას, რომლებიც შეირჩა კვლევის მიმდინარეობისთვის, თემატიკის გათვალისწინებით - სიღრმისეულ ინტერვიუსა და რაოდენობრივ ანალიზს, ამ ნაწილში განვაზოგადეთ და წარმოვადგინეთ, სიღრმისელ ინტერვიუში მონაწილე თეორიტიკოსებისა და პრაქტიკოსების პასუხები და ხედვები. მეოთხე თავში წარმოვადგინეთ ის რელევანტური სამართლებრივი წყაროები, რომლებიც კვლევის მიმდინარეობისას გამოვიყენეთ და დაგვეხმარა, ხოლო მეხუთე თავში კვლევის ობიექტის- ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ისტორიული რაკურსი და თანამედროვე გამოცდილება განვიხილეთ.

ნაშრომის შემდეგ თავში კვლევის შედეგებზე გადავდივართ, სადაც საკვლევ პერიოდში, 21 საათიან ,,კურიერში'' ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სიუჟეტების ანალიზია წარმოდგენილი.

კვლევის შემაჯამებელი შედეგები და რეკომენდაციები ნაშრომის დასკვნილ ნაწილში გვხვდება, საბოლოოდ კი ნაშრომი რამდენიმე დანართითა და ბიბლიოგრაფიით დავასრულეთ.

III თავი: კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია არის ერთობლიობა, იმ პრინციპებისა და ხერხების, რომელიც მეცნიერული კვლევის ორგანიზების საშუალებას გვაძლევს. ნებისმიერი კვლევა საჭიროებს შესაბამის მეთოდოლოგიას.[20]

წარმოდგენილი ნაშრომის მომზადებისას, გამოვიყენეთ კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: კონტენტანალიზი (რაოდენობრივი კვლევა) და სიღრმისეული ინტერვიუ. კონტენტანალიზის რაოდენობრივი კვლევა არის მედიის შინაარსის შესწავლასთან დაკავშირებული კვლევის მეთოდი.[21] ჩვენი კვლევის პირობებში, რაოდენობრივი კონტენტანალიზის მოდელი გვაძლევს საშუალებას გავცეთ პასუხები ისეთ შეკითხვებს, როგორიცაა:

რამდენი სიუჟეტი გააშუქა ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ ტელეკომპანია ,,რუსთავი 2''-მა 2022 წლის მარტი-2023 წლის მარტის პერიოდში?

რამდენი სიუჟეტი იყო ეთიკური ნორმების დაცვით გაშუქებული და რამდენში აღმოჩნდა დარღვევები?

სიღრმისეული ინტერვიუ თვისებრივი კვლევის ერთ–ერთი ფორმაა, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ მივიღოთ სიღრმისეული ინფორმაცია რესპონდენტის დამოკიდებულებისა და მოსაზრებების შესახებ. კვლევის პერიოდში, გამოვკითხეთ ბავშვთა საკითხების მცოდნე, ექვი პროფესიონალი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი. სიღრმისეული ინტერვიუს პირობებში გამოყენებული კითხვარი იხილეთ დანართში.

ჩვენი პირველი რესპონდენტი ხათუნა ჩარკვიანია, დღეისათვის საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ჟურნალისტიკის დოქტორი, რომელიც ბავშვთა საკითხების გაშუქების სფეროში სპეციალიზებულ ცოდნას ფლობს. კითხვებზე, თუ როგორ უნდა გააშუქოს მედიამ ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხები და რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს საკითხის ეთიკური ნორმების დარღვევით გაშუქებამ, ხათუნა ჩარკვიანმა ასეთი პასუხი გაგვცა: ,,რა თქმა უნდა, ჟურნალისტი ვალდებულია აუცილებლად გააშუქოს ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ხდება და ფაქტის სახით დაფიქსირდება, მათ შორის ისეთი პრობლემური საკითხი როგორიც არის ძალადობა, პრევენციის თვალსაზრისით, საჯაროობას უნდა მიეცეს, რომ აიკრძალოს კრიმინალური და მავნე ქმედება. ამ

[20] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5107 სამოქალაქო განათლების ლექსიკონი (ბ.ნ.:15.06.23)

[21] http://dictionary.css.ge/content/content-analysis?fbclid=IwAR3pyGwfaQgCAL4S3c2ukeQEg6mYDeqnEOl-Cdnw9LU9mWrFckGa3XcPqPk ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. (ბ.ნ.:15.06.23)

შემთხვევაში, აუცილებელია მშობლების თანხმობაც, აქვთ თუ არა მათ სურვილი ფაქტის გასაჯაროვების და რა თქმა უნდა, ბავშვის სახე და გამოსახულება უნდა იყოს დაფარული სრულად. ნებისმიერ შემთხვევაში, კანონის დარღვევას მივყავართ არასასურველ შედეგებამდე. კანონი არ უნდა დაირღვეს და უნდა იყოს აუცილებლად დაცული. რაც შეეხება, არაეთიკურ გაშუქებას, მაგალითად რომ მოხდეს ბავშვის იდენტიფიცირება, წლების შემდეგ ბავშვის ვითარება სხვა სივრცეში, სხვა მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ძალიან რთული. თუ ჟურნალისტისგან მოხდება პერსონალური მონაცემების გაშუქება, ბავშვის მდგომარეობაზე მომავალში იმოქმედებს ძალიან ცუდად, ნებისმიერი თვალზრისით, შეიძლება ეს შეეხოს ოჯახს, მომავალ კარიერას და ა.შ.'' ჩვენ დავინტერესდით, თუ რა მიაჩნია მას მთავარ გამოწვევად ქართული მედიისთვის, რომელიც უნდა შესრულდეს საკითხის სრულფასოვნად გაშუქებისთვის, ხათუნა ჩარკვიანის აზრით ეს არის, სტანდარტების დანერგვა და შესრულება. მართლმსაჯულების თვალსაზრისით არსებული არასრულწლოვნების კოდექსის ცოდნა და გარკვევა კოდექსებსა და კანონებში.

ჩვენი მეორე რესპონდენტია მაგდა მემანიშვილი, დღესდღეობით იგი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. კითხვაზე, თუ რამდენად ეთიკურად შუქდება ბავშვთა საკითხები თანამედროვე ქართულ მედიაში, რესპონდენტმა გვიპასუხა, რომ მისი აზრით, იმასთან შედარებით, რა მდგომარეობაც იყო დაახლოებით 10-15 წლის წინ, დღეს ბევრად ეთიკურად შუქდება და როგორც მინიმუმ, იფარება ბავშვის სახე, ასევე მშობლების და ოჯახის წევრების სახეც, რაც იძლევა ირიბი იდენტიფიცირების საშუალებას, მაგრამ ეს ძირითადად ხდება ტრადიციულ მედიაში, ანუ ტელევიზიაში. მისი დაკვირვებით, ონლაინ მედიაში ძალიან ბევრია ყვითელი გამოცემები, ზოგიერთი მათგან არც კი არის ჟურნალისტური ორგანიზაცია, ხელახლა წერენ სხვადასხვა მედიის გავრცელებულ ამბებს, წყაროს მითითების გარეშე. სათაურებშიც არ არის დაცული არანაირი ჟურნალისტური ეთიკა, ასახელებენ ბავშვის სახელს, გვარს, ფოტოს დებენ ღიად და მუშაობენ ყვითელ, სკანდალური შინაარსის მქონე მასალებზე, იმაზე, რომ სოციალურ ქსელში შემოსულ მომხმარებელი გადავიდეს მათ გვერდზე სენსაციური სათაურის მეშვეობით. დავინტერესდით, რესპონდენტ- მაგდა მემანიშვილის აზრით, რა შემთხვევაშია მისაღები არასრულწლოვნის იდენტიფიკაცია და როგორ უნდა გააშუქოს მედიამ საკითხები ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შესახებ, მისი აზრით: ,,არასრულწლოვნის იდენტიფიკაცია მისაღები შეიძლება იყოს, მაგალითად თუ კი საქმე ეხება მისი სიცოცხლისათვის ბრძოლას, სჭირდება დახმარება, უგროვებენ ფულს და მშობლები და მეურვეები გადაწყვეტენ ფოტოს გაშვებას, შეიძლება ეს ზოგიერთისთვის მიუღებელი იყოს და გააღიზიანოს, თუმცა ჩვენ რომ შევიდეთ ბავშვის ოჯახის მდგომარეობაში, ისინი მიდიან იმ კონდიციამდე, რომ მიიღონ მსგავსი გადაწყვეტილება, თუნდაც ეს იყოს ავადმყოფი ბავშვის დამთრგუნველი ფოტო. ასევე

აბსოლიტურად მისაღებია, როდესაც ხდება კარგი რამ ბავშვის გარშემო, აქვს მიღწევები და წარმატებები. ბავშვის ან მისი მონაცემების იდენტიფიკაცია უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს მკაფიო გარდაუვალობა ან მკაფიო პოზიტიურობა. ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქება უნდა მოხდეს მაქსიმალურად ფრთხილად. მსგავსი ამბის გაშუქებას არ სჭირდება ეპითეტები და შეფასება, ფაქტი არის თვითონ იმდენად შემზარავი, რომ მხოლოდ თქმა , ყველანაირი ეპითეტისა და ზმნიზედის გარეშე არის საკმარისი და უკვე ისედაც ძალიან დამთრგუნველი და შემზარავია. გაშუქება უნდა მოხდეს სრული სიზუსტით, მხოლოდ ფაქტის დადასტურების შემდეგ. მტკიცებითი ფორმითაც არ უნდა ილაპარაკონ ჟურნალისტებმა ამ თემაზე, თუ თავიდან ბოლომდე გარკვეული არ არიან საკითხის სინამდვილესა და სიზუსტეში.''

ჩვენი მესამე რესპონდენტია - თინათინ ცომაია, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA)-ს პროფესორი, მედია მკვლევარი. აღსანიშნავია, რომ იგი არის 2008 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს - ,,ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში'' თანაავტორი, რომელიც გამოვიყენეთ კვლევის მიმდინარეობისას. მისი აზრით, ჟურნალისტები დღესდღეობით ცდილობენ ეთიკურად გააშუქონ ბავშვთა საკითხები, იმის ფონზე, რომ უკვე ძალიან ბევრი გაკეთდა ბავშვთა უფლებებთან დაკშირებით, ბევრი პროექტი ჰქონდა იუნისეფს, ჟურნალისტებს ჩაუტარდათ ტრენინგები, მეტწილად გათვიცნობიერებულები არიან და ცდილობენ დაბალანსებული იყოს ამ საკითხის გაშუქება, თუმცა იგი ფიქრობს, რომ ბავშვების ხმა ნაკლებად ისმის, პროგრესი და დინამიკა ნამდვილად მნიშვნელოვანია, რომ ცდილობენ დაიცვან სტანდარტები, მაგრამ უმეტესად უდგებიან ზედაპირულად და ხშირად აკეთებენ სენსაციურ სიუჟეტებსაც, თუმცა ყველაზე დიდ პრობლემად თვლის იმას, რომ ბავშვებს არ აძლევენ ხმას.
ჩვენ თინათინ ცომაიას ვკითხეთ, თუ როგორ უნდა გაშუქდეს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე საკითხები, პასუხი კი შემდეგნაირია: ,,ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან დაკავშირებით მართებთ უფრო მეტი ინფორმირებულობა, ჟურნალისტმა კარგად უნდა იცოდეს რა არის ძალადობა, რა პრობლემები შეიძლება გაუჩნდეს ბავშვს, რომ შეიძლება ის იყოს ტრამვირებული და ტრამვას ყოველთვის აქვს ფორმა და მახასიათებლები, ნიშნები, რომლებიც ჟურნალისტმა უნდა ამოიცნოს. პირველ რიგში, რა საკვირველია, ბავშვი უნდა დაიცვას, მთელი ამოცანაა, რომ ბავშვის ჭეშმარიტი უფლებები უნდა იყოს დაცული, ის უნდა იყოს უსაფრთხოდ და ამ პირობებში, მისი განვითარება უნდა იყოს შესაძლებელი. თუ კი ჟურნალისტი ხედავს, რომ ბავშვი თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს, უნდა ჩართოს შესაბამისი უწყებები და ეძიოს დახმარების გზები. ჟურნალისტისა და ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ურთიერთობა მოითხოვს ძალიან დიდ ცოდნას და დაკვირვებას.''

რესპონდენტმა გვითხრა, რომ ბავშვთა საკითხები ძირითადად სპონტანურად შუქდება, თუ რაიმე განსაკუთრებული ხდება და ძალიან ცოტაა სიღრმისეული და

სერიოზულად მნიშვნელოვანი სიუჟეტები ბავშვებზე. იგი ფიქრობს, რომ ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს გათვიცნობიერებული ბავშვთა უდიდესი როლი საზოგადოებაში. სულ, მუდმივად, ისმოდეს მათი ხმა, პრობლემები, სურვილები, აზრები. არა მხოლოდ, მაშინ როდესაც რაიმე ხდება და განსაკუთრებული შემთხვევაა, არამედ ყოველთვის, ბავშვების შესახებ საკითხები მუდმივად იყოს დღის წესრიგში და მათი ხმა უნდა ისმოდეს, სხვადასხვა საკითხებზე.

გამოვკითხეთ, ამჟამად ,,ფორმულა''-ს ჟურნალისტი, პრაქტიკოსი - თამარ გეგენავა. მისი თქმით, როდესაც შეხება აქვს ბავშვთა საკითხებით გაშუქებასთან, ყოველთვის იშველიებს UNICEF - ის აღიარებულ ეთიკის კოდექსს, სადაც დეტალურად არის საუბარი როგორ უნდა მოვიქცეთ სხვადასხვა სიტუაციაში როდესაც ეთიკური დილემის წინაშე აღმოვჩნდებით, მათ შორის საუბარია არასრულწლოვნის იდენტიფიცირებაზე. იგი თვლის, რომ იდენტიფიცირება იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ კი შესაძლო სიკეთე არსებულ ზიანს აჭარბებს, თუმცა გაშუქებაზე მშობლის თანხმობის მიუხედავად, ჟურნალისტმა თავად უნდა გადაწყვიტოს რამდენად ან რა ფორმით იქონიებს გავლენას ბავშვის გადაღება, ინტერვიუ თუ იდენტიფიცირება მის მომავალზე. ფიქრობს, რომ მან, როგორც ჟურნალისტმა ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა დაინახოს და სულ რომ გამზადებული მასალა ჰქონდეს, თუ კი იქ დაინახავს რაიმე საფრთხეს, არ გამოაქვეყნებს.

თამარ გეგენავას აზრით, ქართული მედიისთვის მთავარი გამოწვევა ისაა, რომ რაღაც მომენტში ფაქტს და ბავშვის საუკეთესო ინტერესს შორის იკარგებიან, ბავშვი როგორც მანიპულაციის იარაღი ისეა ხოლმე ზოგჯერ გამოყენებული. მისი აზრით, არ უნდა მოხდეს საკითხის კიდევ უფრო დრამატიზება, მინიმუმამდე უნდა დავიდეს ნებისმიერი დისკრიმინაციული თუ სტიგმატური იარლიყის მიწებება, ბავშვი და მისი საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს დაცული.

სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში ჩვენ ასევე ვესაუბრეთ ტელეკომპანია „რუსთავი 2“- ის პრაქტიკოს ორ ჟურნალისტს - ნინო მჭედლურსა და ნინი ტაველიძეს, რომლებსაც შეხება ჰქონიათ ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან და გარკვეული გამოცდილება დააგროვეს.
ორივე მათგანის პასუხები შევამაჯამეთ და მათი თქმით, თანამედროვე ქართულ მედიაში ბავშვთა საკითხები ხშირად არაეთიკურად შუქდება. საზომის განსაზღვრა უჭირთ, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ერთი შეხედვით უწყინარი ფორმით გადმოცემული ამბავი ლახავს ბავშვის უფლებებს, მაგრამ ზედაპირული შეფასებით შეუმჩნეველია და ზოგადად, დარღვევები უფრო მეტია, ვიდრე დაცული სტანდარტები. ძალადობის მსხვერპლი ბავშვის შესახებ ამბის გაშუქებასთან დაკავშირებული სიფრთხილე გააზრებული აქვთ და ერთმნიშვნელოვნად ამბობენ, რომ ნებისმიერი ფორმის ძალადობის შემთხვევაში არასრუწლოვანი ბავშვების

იდენტიფიცირება პირდაპირ ან ირიბად არ უნდა მოხდეს, მნიშვნელობა არ აქვს ბავშვი მსხვერპლის როლშია, მოწმის თუ მოძალადის, თუმცა ბავშვის კონფიდენციალობის დაცვა საკმარისი არ არის და არ უნდა მოხდეს მათი სტიგმატიზაცია და სიუჟეტისთვის ისეთი სახის მიცემა, რომ ბავშვს მეტი ზიანი მიადგეს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამბის თხრობის დროს გამოყენებულ თითოეულ სიტყვას. მედიის მთავარ გამოწვევაზე ბავშვთა საკითხების გაშუქებისას, რესპონდენტები ასახელებენ სკანდალზე ნაკლებად ორიენტირებას და ნაკლებ ფიქრს იმაზე, რომ საზოგადოებას მეტი ემოციური კადრი და ფოტო მიეწოდოს. მიუღებლად თვლიან იმ ტერმინების გამოყენებას, რომელიც განზრახ ამძაფრებს სიუჟეტს და სწორად არ მიაჩნიათ ამბის შეფასებითი გაშუქება.

IV თავი: რელევანტური სამართლებრივი წყაროები

საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ყურადღება გავამახვილეთ ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციასა და ბავშვთა უფლებათა კოდექსზე. **კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ** 1989 წლის 20 ნოემბერს იქნა მიღებული გაეროს გენერალურმა ასამბლეის მიერ და იგი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობების მიერაა რატიფიცირებული. მსოფლიოს მიერ აღიარებული დოკუმენტი 54 მუხლისგან შედგება და მოიცავს სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს.[22]

კონვენცია მთავრობებს აკისრებს პასუხისმგებლობას, რომ მოახდინონ უზრუნველყოფა, ბავშები აღიზარდონ მათთვის ხელსაყრელ და უსაფრთხო გარემოში, სადაც მათ ექნებათ საშუალება მიიღონ ხარისხიანი განათლება, იცხოვრონ ხელშემწყობ და ბავშვისთვის შესაფერის გარემოში. კონვენცია ბავშვს ანიჭებს უფლებას, რომ გამოხატოს საკუთარი აზრი და ისარგებლოს ნებისმიერი შეხედულების გამოხატვის თავისუფლებით. ბავშვი უნდა იყოს დაცული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან, ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველანაირი ზომა, რომ დაიცვას არასრულწლოვანის ყველა უფლება. კონვენციით გათვალისწინებული უფლებები კი თანაბრად ეხება ყველა ბავშვს და ამ დროს არ არსებობს არანაირი გამონაკლისი.

აღსანიშნავია, რომ „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ქართულ ენაზე არაერთგზის გამოიცა როგორც სრული, ისე ადაპტირებული სახით, რათა მცირეწოვანი მკითხველისთვისაც იოლი აღსაქმელი ყოფილიყო, თუ რა უფლებები აქვს, რომელთა დაცვაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული და გარანტირებული. საქართველო დეკლარაციას შეუერთდა 1994 წელს და აიღო კოვენციით გათვალისწინებული დებულებების შესრულების ვალდებულება.

ბავშვთა უფლებათა კოდექსი

საქართველოში 2019 წელს იქნა მიღებული და მისი მიზანია, უზრუნველყოს ბავშვის კეთილდღეობა სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტის ხელშეწყობით.[23]

კვლევის ფოკუსის შესაბამისად, მეტწილად ყურადღება გავამხვილეთ დოკუმენტის მე-8 თავზე - ,,ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლება'', რომელიც მუხლებისგან შედგება და

[22] https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/CRC_ge.pdf კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, გაეროს ბავშვთა ფონდი „იუნისეფი“, ქართული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი. (ბ.ნ.: 15.06.23)

[23] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2 საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 (ბ.ნ.:16.06.23)

ძალადობისგან ბავშვის დაცვასა და პრევენციას მოიცავს. VIII თავის 53 მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს უფლება, რომ იყოს დაცული ნებისმიერი სახისა და ფორმის, ნებისმიერ გარემოში ძალადობისგან, ყველანაირი ჩაგვრისა და იძულებისგან, უგულებელყოფისა და დაუდევარი მოპყრობისგან. კანონმდებლობის გათვალისწინებით, ბავშვი უნდა იქნეს დაცული და გატარდეს ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ მოხდეს ნებისმიერი ფორმის ძალადობის პრევენცია.

ჩვენთვის ასევე საგულისხმო აღმოჩნდა კოდექსის X თავი - ,,ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე", რომელის მიხედვითაც არცერთ მედია საშუალებას არ აქვს უფლება გაასაჯაროვოს სასამართლო პროცესში ან ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე არასრულწლოვნის ნებისმიერი პირადი მონაცემი, რომელიც იძლევა მისი ამოცნობის საშუალებას.

თუ კი საქმე ეხება, მოზარდის მიმართ ან მის მიერ ჩადენილ ძალადობას, არცერთ შემთხვევაში არ უნდა გამჟღავნდეს არცერთი ჩანაწერი, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და შეიძლება აღმოჩნდეს არასრულწლოვნის იდენტიფიცირების მიზეზი. (თავი X, მუხლი 71)[24]

[24] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2 საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 (ბ.ნ.:16.06.23)

V თავი: ტელეკომპანია „რუსთავი-2“ - ისტორიული რაკურსი და თანამედროვე გამოცდილება

ჩვენი დაკვირვების ობიექტი არის ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და მისი 21 საათიანი „კურიერის“ საინფორმაციო გამოშვება.

ტელეარხი შეიქმნა 1994 წელს, რუსთავში, უნივერსიტეტის მეგობრების- დავით დვალის, არჯი აქიმიძეს და ეროსი კიწმარიშვილის მიერ.

უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები ქართულ ტელე სივრცეში, როგორიც არის: პირველი ტოქშოუ პირდაპირ ეთერში სატელეფონო ზარებით, პირველი სრულად დუბლირებული ეთერი, საფეხბურთო მატჩის პირველი ლიცენზირებული ტრანსლაცია და ქართულად დუბლირებული სერიალი. ასევე, ,, რუსთავი 2’’ პირველი იყო, შემთვევის ადგილიდან პირდაპირ ჩართვასა და უცხოეთიდან სატელიტურ ჩართვაში. შექმნა პირველი ჟურნალისტური საგამოძიება გადაცემა და ლიცენზირებული გასართობი შოუ სახელად-,,ვის უნდა 20,000’’ ჩვენი კვლევის ობიექტი - ,,კურიერი“ კი საქართველოში პირველი ორწამყვანიანი პროგრამული ბადეა, რომელიც 1997 წლიდან არსებობს და მას შემდეგ არ შეცვლილა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რუსთავი 2“-ს განსაკუთრებული როლი აქვს საქართველოს მედიის განვითარებაში.

წლების განმავლობაში არხი არაერთხელ გაიყიდა. 2004-დან 2012 წლამდე პერიოდში, ტელეკომპანიამ მფლობელი დაახლოებით ოცჯერ გამოიცვალა.

,,კურიერი’’ ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ოპერატიული და მაღალრეიტინგული სინფორმაციო გამოშვებაა, რომელსაც ,,რუსთავი 2’’-ის ეთერში დღეში შვიდჯერ ვხვდებით და საშუალება გვაქვს ოპერატიულად მივიღოთ მსოფლიოს გარშემო მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები.

ჩვენს კვლევაში განხილული საღამოს 21 საათიანი ,,კურიერი’’, მთავარი საინფორმაციო გამოშვებაა და დღის ამბებს აჯამებს. გამოშვების ქრონომეტრაჟი დაახლოებით ერთი საათია და საშუალოდ 10 სიუჟეტს მოიცავს, ძირითადი წამყვანები კი ნათია ლაზაშვილი და დავით კაკულია არიან.

,,რუსთავი 2’’-ს აქტიური ვებგვერდი და სოცილური ქსელი აქვს, რომლის დახმარებითაც საჭირო დროს ისეთ ინფორმაციასაც ვიღებთ, რომელიც გადაცემის ფარგლებს გარეთ არის.

VI თავი: ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქების პრობლემატიკა ქართულ მედიაში 21 საათიანი „კურიერის“ მაგალითზე

სიუჟეტი N1- ,, საქონლის სასაკლაოზე იძულებით დასაქმებული არასრულწლოვანი'' 2022 წლის 20 მაისში სიუჟეტი გავიდა 15 წლის ბიჭზე, რომელიც კანონით აკრძალვის მიუხედავად, 5 თვე მძიმე სამუშაოს ასრულებდა, რაც სასაკლაოს ტერიტორიის დასუფთავებასა და ნარჩენების გატანას გულისხმობდა. გაუსაძლის პირობებში ყოფნის გამო, მოზარდმა უარი თქვა მუშაობაზე, რის შემდეგაც მეპატრონე ბავშვს ფიზიკურად გაუსწორდა.
,,კურიერმა'' ჩაწერა მოზარდის ოჯახის წევრი, რომლის სახეც დაფარულია, თუმცა კასპში არსებული ის სასაკლაო, სადაც არასრულწოვნის შრომითი უფლებები დაირღვა, სრულიად არის გადაღებული ყველანაირი დაფარვის გარეშე. ასევე არის ინტერვიუ ერთ-ერთ თანამშრომელთან, რომელიც ბიჭის მუშაობას ადასტურებს. არასრულწლოვანთა შრომა, როგორც წესი, ითვლება არაკვალიფიციურ შრომად, მოზარდის იძულებით დასაქმება აფერხებს და ზიანს აყენებს მის ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას.

სიუჟეტი N2- ,,სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 4 არასრულწლოვანი.'' 2022 წლის 13 ივლისის სიუჟეტი - არასრულწლოვნების მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით ქვემო ქართლში ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი დააკავეს. 21 საათიანი ,,კურიერის'' მოპოვებული და გაშუქებული მასალებით ვიგებთ, რომ 50 წლამდე მამაკაცი, ინფორმატიკის მასწავლებელი, 11 და 12 წლის მოსწავლე გოგონებზე რამდენიმე თვის განმავლობაში სექსუალურად ძალადობდა. ბავშვების ჩვენებები, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, გასაჯაროებული არ არის, თუმცა ,,კურიერმა'' სიუჟეტში გაუშვა საქმეში არსებული მასალებიდან ერთ-ერთი მონაკვეთი: ,, საჯარო სკოლის საკლასო ოთახში, ინფორმატიკის მასწავლებელმა, თავის 11 წლის მოსწავლეს წინასწარი შეცნობით ხელი ჯერ წელზე მოჰხვია, შემდეგ კი, მიმართა სხვა სახის გარყვნილ ქმედებას. ფაქტს ადგილი ჰქონდა უშუალოდ სასწავლო პროცესის დროს.''
სიუჟეტში მოხვდა ინტერვიუები სკოლაში მომუშავე პირებთან, მათი სახეები არის დაფარული, თუმცა ყველა მათგანი იმდენად წინააღმდეგია ჩაწერის, რომ ადგილზე გამოიძახეს საპატრულო პოლიცია.

სკოლის შიდა და გარე კადრები, სკოლაშივე გადაღებული დეტალები, მაგალითად: დირექტორის აბრა, დერეფანში გაკრული სურათი, არის დაფარული.

სიუჟეტი N3 - ,,ბავშვზე მამინაცვალი, მისი შვილი და მამა სექსუალურად წლების განმავლობაში ძალადობდნენ.''

2022 წლის 4 აგვისტოს 21 საათიან კურიერში გავიდა სიუჟეტი, ერთ-ერთ რეგიონში მომხდარ ძალადობის ფატზე, დაზარალებული არასრუწლოვანი, 14 წლის გოგონა ჩვენებაში ყვება, რომ მამინაცვალი, მამინაცვლის მამა და მამინაცვლის შვილი მასზე სექსუალურად ძალადობდნენ, იმ დროიდან როცა იგი 6 წლის იყო. ,,კურიერის'' წამყვანი დასაწყისშივე ამბობს, რომ სიუჟეტის სიმძიმის გამო, არ გაასაჯაროვდება დანაშულის ადგილი და საქმის ფიგურანტების ვინაობა. ცხადია, ნებისმიერი ძალადობის ფაქტი არის უმძიმესი, შემზარავი დანაშაული და არცერთი მსგავსი შემთხვევისას არ უნდა გაშუქდეს ისეთი დეტალები და პირები, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას, ამოვიცნოთ დაზარალებული არასრულწლოვანი. სიუჟეტში ვხვდებით ინტერვიუს მამინაცვლის ძმასთან, რომლის სახეც არის დაბლარული.
ასევე არის ინტერვიუ დაზარალებული ბავშვის დედასთან, მისი სახე და ჩაცმულობა არის სრულად დაფარული.

სიუჟეტი N4 - ,,ხუთმაგი მკვლელობა და 10 თვის დაჭრილი ბავშვი - სასტიკ დანაშაულში ბრალდებული კაცი ცოლს ციხიდანაც ემუქრება.''
2022 წლის 20 აგვისტოს გასულ სიუჟეტში, გადაღებულნი არიან ბავშვები, მიუხედავად იმისა, რომ სახე არის დაბლარული, მათი ამოცნობა მაინც შესაძლებელია, რადგან სრულად იდენტიფიცირებულია ბავშვების ჩაცმულობა, საცხოვრებელი გარემო. ამას გარდა, სიუჟეტში ბავშვები გადაღებულები არიან თამაშის დროსაც, რაც სრულიად შეუფერებელია თემატიკიდან გამომდინარე.
დაკავებულის ცოლი, რძალი და დედა, დაზარალებული ქალბატონები ასევე სრულად იდენტიფიცირებულნი არიან და მათი დაფარვა არცერთ კადრში არ ხდება. სამივე მათგანთან და ბრალდებულის მამასთან ინტერვიუებია ჩაწერილი. გადაღებულია ახლო კადრი ბავშვის ჭრილობაზე.
ჟურნალისტი ასახელებს, როგორც დაზარალებულის, ასევე ბრალდებულის სახელსა და გვარს.
ქარტიის მიერ შემუშავებული ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელოს მიხედვით, იმისათვის რომ, არ მოხდეს ბავშვის იდენტიფიცირება, მხოლოდ მისი სახის დაფარვა არ არის საკმარისი და ისეთი ფაქტორები, როგორიც არის გარემოს აღწერა ან სხვა რეპონდენტების გამოჩენა, გვაძლევს არასრულწლოვნის ამოცნობის

შესაძლებლობას.[25]

სიუჟეტი N5-,,ასობით მოკლული და დასახიჩრებული, 100 ათასობით ქვეყნიდან იძულებით გაყვანილი უკრაინელი ბავშვი - ომის საგანგაშო სტატისტიკა.'' ბავშვთა დისკრიმინაციასთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტი 2022 წლის 25 აგვისტოს გავიდა. სიუჟეტი არის ომის მხვერპლ მცირეწლოვან ბავშვებზე. ყველა იმ ბავშვის სახე, რომელიც მოხვდა სიუჟეტში, არის სრულად იდენტიფიცირებული, არცერთი მათგანი არ არის დაფარული.

აქვე ვხვდებით გარდაცვლილი ბავშვის მშობლების კადრებს, რომელიც გადაღებულია საავადმყოფოში, არის სრული იდენტიფიკაცია.

მასალა არის ნაჩვენები სენსაციურ და სენტიმენტალურ ჭრილში, ატირებული ბავშვებითა და მშობლებით.

ამგვარი კადრები თავად ბავშვისთვის შეიძლება მტკივნეული აღმოჩნდეს, მოხდეს მისი მეორეული ტრავმატიზაცია, სტიგმატიზება, გარიყვა ან ნებისმერი სახით მისი მდგომარეობა გაუარესდეს.

სიუჟეტი N6- ,,მოზარდი, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა და დაფეხმძიმდა''
2022 წლის 28 აგვისტოს სიუჟეტზე დაყრდნობით, გოგონა აჭარის ერთ-ერთ სოფელში თანატოლმა გააუპატიურა, არასრულწლოვანმა მომხდარი მშობლებს მას შემდეგ გაუმხილა, რაც ფეხმძიმობა ვეღარ დამალა.

ჩაწერილია ძალადობის მსხვერპლი გოგონას სკოლის დირექტორთან სატელეფონო ზარი, სახელი და გვარის ინიციალებით, რომელიც ამბობს, რომ მოსწავლის მძიმე ისტორია იცოდა, თუმცა შესაბამისი უწყებებისთვის არ მიუმართავს, სადაც კიდევ ერთი დანაშაული იკვეთება.

გადაღებულია დაზარალებული გოგონას სოფელი და სკოლა, რომელიც არის დაფარული და არ ხდება არანაირი იდენტიფიცირება.

[25] https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-10/bavshvta-sakitxebis-gashuqeba.pdf
ბავშვთა საკითხების გაშუქება, სახელმძღვანელო წესები. (ბ.ნ.:20.06.23)

სიუჟეტი N7- ,,გაკვეთილზე დაწყებული ჩხუბი და სასტიკად ნაცემი მოსწავლე'' 2022 წლის 7 ოქტომბერს 21 საათიან ,,კურიერში'' გავიდა სიუჟეტი არასრულწლოვნებს შორის დაპირისპირებაზე, დაზარალებულ მოზარდს სახის არეში მიაყენეს ისეთი მძიმე დაზიანებები, როგორიც არის ყბის და ცხვირის მოტეხილობა, ტვინის შერყევა. ,,კურიერმა'' საჭიროდ არ ჩათვალა და არ დაფარა არცერთი საქმესთან დაკავშირებული დეტალი. კონკრეტულად, გადაღებულია ინციდენტის კერა, ბათუმის ,,მე-8 საჯარო სკოლა'', ინტერვიუები როგორც დაზარალებული, ასევე ბრალდებული არასრულწლოვნების მშობლებთან და მასწავლებლებთან. გარდა იმისა, რომ არცერთი მათგანის სახე არ არის დაფარული და ყველა არის სრულიად იდენტიფიცირებული, დაზარალებული ბავშვის დედის სახელი და გვარი არის გასაჯაროვებული, ,,კურიერმა'' ასევე გვანახა ბრალდებული არასრულწლოვნის საცხოვრებელიც. ბრალდებული/მსჯავრდებული არასრულწლოვნის იდენტიფიცირება არის დაუშვებელი, ამ შემთხვევაში კი ხდება მათი ირიბი იდენტიფიცირება, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტში არცერთი მათგანი არ ჩანს, ჩვენ გვაქვს ისეთი საშუალებები იმისათვის, რომ ამოვიცნოთ არასრულწლოვნები, როგორიც არის ოჯახის წევრების დაუფარავად გამოჩენა, სკოლის და საცხოვრებელი გარემოს სრული იდენტიფიკაცია.

სიუჟეტი N8 - ,,სექსუალური ძალადობის მცდელობა შვილის მეგობარზე.'' 2022 წლის 10 ნოემბრის სიუჟეტი. დაზარალებული 12 წლის გოგონაა, ბრალდებული კი 63 წლის მამაკაცი.

სიუჟეტში ნათლად ჩანს გორის რაიონული სასამართლო და დაბლარული სკოლა, რომელიც აღქმადია, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ ვიცით ქალაქი. ჩაწერილია ინტერვიუები, ყველა სახე არის დაფარული.

,,კურიერმა'' საჭიროდ ჩათვალა გაესაჯაროვებინა 12 წლის მსხვერპლი გოგონას უმძიმესი ჩვენება, დეტალებით: ,, ქუჩაში შემამჩნია და დამიძახა რაღაც უნდა გკითხო, მოშორებით გავისაუბროთო. მანქანა წაიყვანა იქით, სადაც სახლები არ იყო, გააჩერა და უკანა სავარძელზე გადმოვიდა. მან სექსუალური ძალადობა სცადა. გავიქეცი, თუმცა გამომეკიდა და ხელებგაკავებული ისევ მანქანაში დამაბრუნა, ისევ ცდილობდა სექსუალურ ძალადობას, თან ხელში, ანთებული სანთებელა ეჭირა. დამემუქრა არაფერი მეთქვა, თორემ ყელს გამოგჭრი და დედაშენს შენს თავს ოთახის წინ დავუკიდებო. მოგვიანებით წამომიყვანა და უცხო ადგილზე ჩამომსვა. ძალიან დაბნეული და განერვიულებული ვიყავი.''

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების მიხედვით, ჟურნალისტის მხრიდან ბავშვის იტერესების დაცვა უნდა იყოს უპირატესი. ამგვარი ჩვენების გაშუქებამ კი შეიძლება გამოიწვიოს არასრულწლოვნის მეორეული ტრამვატიზაცია და აღმოჩნდეს ზიანის მომტანი.

სიუჟეტი N9- ,,პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში 12 წლის მოზარდს სამშობიაროდ ამზადებენ''
2022 წლის 23 ნოემბრის სიუჟეტი- 12 წლის გოგონა ბავშვს მისივე მეგობრისგან ელოდება, რომელიც ასევე არასრულწლოვანია. ფაქტზე გამოძიება სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციით მიმდინარეობს.

სიუჟეტში გადაღებულია არასრულწლოვანი გოგონას დედა, მისი რამდენიმე კადრია გაშვებული, სადაც სახე არ ჩანს, რადგან კამერასთან ჩანს ზურგით. გადაღებულია პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც მშობიარე 12 წლის გოგო მიიყვანეს.
,,კურიერის'' თქმით არასრულწლოვანი ხშირად აცდენდა სკოლასაც, თუმცა მასალაში არ არის დასმული კითხვები პასუხისმგებელ ზრდასრულ პირებთან. სიუჟეტს მიღმა დარჩა, ისეთი სერიოზული პრობლემა, როგორიც არის არასრუწლოვან ასაკში ნაადრევი ორსულობა და თანმდევი გართულებები.

სიუჟეტი N10- ,, მამინაცვალი, რომელიც 11 წლის გერზე ფიზიკურად და სექსუალურად ძალადობდა''
2022 წლის 23 დეკემბერი- ახალგაზრდა მამაკაცი თბილისის ერთ-ერთ უბანში დააკავეს, მეზობლის ზარის საფუძველზე, რომელმაც სამართალდამცველებს სავარაუდო ძალადობის შესახებ აცნობა.

ექსპერტიზის და დაზარალებული არასრულწლოვნის მიერ დადასტურდა, სექსუალური და ფიზიკური ძალადობის ფაქტი.

სიუჟეტში გადაღებულია მოზარდის საცხოვრებელი კორპუსი და არის ინტერვიუები მეზობლებთან. ისევე როგორც გარემოს, ყველა მაცხოვრებლის სახე არის დაფარული და იდენტიფიცირება არ ხდება.

სიუჟეტი N11- ,,არასრულწლოვანზე განხორციელებული სექსუალური ძალადობისთვის პოლონეთში 30 წლის ქართველი ტაქსისტი დააკავეს.''

2023 წლის 5 იანვრის სიუჟეტში, რომელიც ეხება პოლონეთში მომხდარ მოზარდზე ძალადობის ფაქტს, რომელშიც ბრალდებული საქართველოს მოქალაქეა, ,,კურიერმა'' სიუჟეტში გაუშვა არასრულწლოვანი, დაზარალებული გოგონას ჩვენება, რომელიც შეიცავს მძიმე დეტალებს: ,,მანქანა გააჩერა, უკან გადმოჯდა და შიგნიდან ჩაკეტა კარი. მე შემეშინდა, ის ჩემს გვერდით იჯდა და ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაკოცა, ცდილობდა ჩემს შებოჭვას და ხელი ჩამიცურა ფეხებში..." ჩვენი კვლევის პერიოდში ეს მეორე შემთხვევაა, როდესაც ,,კურიერი''

არასრულწლოვნის მძიმე ჩვენებას, დეტალების შემცველობით აშუქებს და არ ითვალისწინებს მოზარდის ინტერესებს, მის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას.
სიუჟეტში მოვისმინეთ სატელეფონო საუბარი ბრალდებულთან, რომელიც დანაშულს იუარებს. ჩაწერილია ინტერვიუები საქართველოში მყოფ ბრალდებულის ახლობლებთან, რომელთა სახეებიც დაფარულია.

სიუჟეტი N12- ,,სავარაუდო ძალადობის ნიშნები მცირეწლოვნის სხეულზე'' 2023 წლის 23 თებერვლის სიუჟეტიდან ვიგებთ, რომ გურჯაანის ერთ-ერთ კლინიკაში 2 წლის ბავშვი სხეულზე დაზიანებებით მიიყვანეს, შემთხვევის შესახებ ფაქტი კი სამართალდამცავებს ბაშვის ბებიამ შეატყობინა.

ეთერში გავიდა ფოტო, სადაც სავარაუდო დანაშაულის უმძიმესი კვალი ჩანს, ბავშვის სახე არის დაბლარული, თუმცა სხეულის ნაწილი - მუცელი, სადაც ბავშვს აღენიშნება დაზიანება, დაუფარავად ჩანს.
,,კურიერი'' ჩავიდა იმ სოფელში, სადაც მდებარეობს ბავშვის საცხოვრებელი და სახლი გადაიღო დაუფარავად. დაზარალებული ბავშვის საცხოვრებელი გარემოს ღიად ჩვენება არის სრულიად საკმარისი მსხვერპლი არასრულწლოვნის იდენტიფიცირებისთვის.
ჩაწერილია ინტერვიუ ბავშვის ბებიასთან და სოფელში მაცხოვრებლებთან, მათი სახეები დაფარულია.

სიუჟეტი N13- ,,სექსუალური ძალადობის უმძიმესი ფაქტი შიდა ქართლში'' 2023 წლის 29 მარტი - 15 წლის დაზარებული გოგონა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. სიუჟეტში თავიდანვე ნათქვამია, რომ ,,კურიერის'' მოძიებული ინფორმაციით 63 წლის ბრალდებული მამაკაცი ქარელის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორია, თუმცა პარტია ამბობს, რომ სავარაუდო დამნაშავეს მათი წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნია. მსგავსი ინფორმაციით სიუჟეტის დაწყება ქმნის წარმოდგენას, რომ ამბავში მედიისთვის პრიორიტეტულია, არა შემზარავი ფაქტი, არამედ პოლიტიკური ინტერესი.
ჩაწერილია ინტერვიუ ბრალდებულის მეუღლესთან, რომელიც დეტალებს ყვება. ყურადღება კი ისევ გამახვილებულია პოლიტიკური ნიშნით და ჩაწერილია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' წევრთან ინტერვიუ, მიუხედავად იმისა რომ ეს ინფორმაცია დადასტურებული არ არის, ,,კურიერს'' მაინც გადაჭრით უწერია, რომ ბრალდებული არის პარტიის კოორდინატორი.

დასკვნა
კვლევის ძირითადი შედეგები

გამოვიკვლიეთ ქართულ ტელემაუწყებელთა შორის ერთ-ერთი უდიდესი მედიასაშუალების - ,,რუსთავი 2''-ის შემაჯამებელი გადაცემა- 21 საათიანი ,,კურიერი''. ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც მოიცავდა 2022 წლის მარტი-2023 წლის მარტის პერიოდს, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიუხედავად მეტნაკლებად გააზრებული და გაცნობიერებული პასუხისმგებლობებისა, მაინც შეინიშნება არაეთიკური მასალების გავრცელება.

განვიხილეთ ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქების 13 სიუჟეტი, უმეტეს მათგანში შევხვდით კოდექსებით გათვალისწინებული წესებისა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების დარღვევებს.

ვინაიდან, კვლევის ფოკუსი ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქება იყო, ხარვეზები საყურადღებოა, რადგანაც თემის გაშუქების სტანდარტის დარღვევა არასრულწლოვანთა ინტეგრაციასა და სოციალიზაციას უქმნის საფრთხეს. გამოკვეთილი პრობლემების კლასიფიცირება კი შემდეგნაირია:

- მასალების სენსაციურ ჭრილში გაშუქება;
- ბავშვთა ირიბი და პირდაპირი იდენტიფიცირება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა;
- პრობლემის ზედაპირული გაშუქება;
- ბავშვების მძიმე ჩვენებების გამოქვეყნება

დღესდღეობით არსებობს უამრავი საშუალება- მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები, გზამკვლევები, სამეცნიერო სტატიები, ტარდება ტრენინგები ჟურნალისტებისთვის, რათა გაშუქება იყოს მაქსიმალურად ეთიკური და პროფესიული, თუმცა უპირველესი მაინც ჟურნალისტის თემის მიმართ მგრძნობელობა და პასუხისმგებლობის შეგრძნებაა, სურვილი იმისა, რომ ბავშვის

უფლებები არა თუ დაარღვიოს და მიაყენოს ტკივილი, არამედ დაიცვას იგი ყოველგვარი ზიანისგან.

კვლევის შედეგად, მივედით აზრამდე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჟურნალისტი თვალს ხუჭავს კანონსა და მორალზე, რეიტინგის ამაღლების მიზნით კი მყვირალა სიუჟეტის გაშუქებას ამჯობინებს. გამოკვეთილი ხარვეზებით და დარღვევებით, შეიძლება მოზარდს მიადგეს ზიანი და უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მის ფსიქიკაზე. ამას გარდა, სიუჟეტებში არ ყოფილან ჩაწერილი ის კომპეტენტური პირები, რომლებიც პრობლემას მრავალმხრივად და სიღრმისეულად გაანალიზებდნენ. ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებული სპეციალისტებისა და ექსპერტების კომენტარები მნიშვნელოვანია პოზიტიური ცვლილებებისთვის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის.

კვლევის მიმდინარეობისას არჩეული ერთ-ერთი მეთოდი იყო რაოდენობრივი კვლევა, რომლის პირობებში პასუხები გავეცით დასმულ კითხვებს. ,,რუსთავი 2''-მა 21 საათიან დღის შემაჯამებელ ,,კურიერში'' 2022 წლის მარტიდან 2023 წლის მარტის ჩათვლით გააშუქა 13 სიუჟეტი ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ.

ამათგან, მხოლოდ 4 სიუჟეტი აღმოჩნდა ისეთი, რომელშიც დაცული იქნა ეთიკური ნორმები და არ მოხდა ბავშვის უფლებების შელახვა, ხოლოდ დანარჩენ 9 სიუჟეტში აღმოვაჩინეთ ისეთი დარღვევები, რაც შეუთავსებელია საკითხის გაშუქების წესებსა და ნორმებთან, ლახავს ბავშვის უფლებებს და შესაძლებელია გამოიწვიოს მათი მეორეული ტრამვატიზაცია.

კვლევის მეორე მეთოდმა - სიღრმისეულმა ინტერვიუმ დარგის სპეციალისტებთან და ჟურნალისტებთან, საშუალება მოგვცა დაგვენახა საერთო ტენდენციები, რომლის მიხედვითაც გასულ წლებთან შედარებით დინამიკა დროსთან ერთად უმჯობესდება და ჟურნალისტები ცდილობენ, მინიმუმ დაფარული იყოს არასრულწლოვნებისა და მათთან დაკავშირებული პირების სახეები. რესპოდენტების პასუხების შეჯამებით კი გთავაზობთ იმ მთავარი პრობლემების ჩამონათვალს, რომლებიც გამოწვევად რჩება ჟურნალისტებისთვის, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების გაშუქებისას: ცალმხრივად და მიკერძოებით ბავშვთა გარკვეული პირადი ინტერესების გამო გამოყენება, იდენტიფიკაციის პრობლემა, არასიღრმისეული და ზედაპირული გაშუქება, პირადი ცხოვრების ხელშეუხლებლობის დარღვევა.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები იმ პრობლემების თავიდან ასარიდებლად, რაც დაკავშირებულია ბავშვთა ძალადობის გაშუქებასთან და გამოიკვეთა საკვლევი პერიოდის განმავლობაში.

მედიის უმთავრესი ამოცანა, ბავშვის ინტერესების დაცვაა და პასუხისმგებელია, არ შეუწყოს ხელი მათი უფლებების ნებისმიერი სახით დარღვევასა და სტიგმატიზებას. ნებისმიერი ჟურნალისტი და მასმედიაში მომუშავე პირი ვალდებული და პასუხისმგებელია, იხელმძღვანელოს უმაღლესი ეთიკური და პროფესიული ნორმებით და გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს არცერთი წესი, რომელიც არის გასათვალისწინებელი ბავშვთა საკითხების გაშუქებისას. ჟურნალისტებმა სრული სიზუსტითა და ყველანაირი კორექტულობის დაცვით უნდა გააშუქონ საკითხები, რომლებიც ეხებათ არასრულწლოვნებს. მათ არ უნდა გამოაქვეყნონ ისეთი ფოტო-მასალა და ინფორმაცია, რაც საზიანო იქნება ბავშვებისთვის და რეიტინგის ხარჯზე არ უნდა გააშუქონ სენსაციური კადრები, ნებისმიერ შემთხვევაში ყველა მოსალოდნელი შედეგი და ზიანის ფაქტორი განიხილონ, გაითავისონ და მინიმუმამდე შეამცირონ ყველა ის ფაქტი, რამაც შეიძლება დააზარალოს ბავშვი.

1. ბავშვის დაფარვა უცილებელია, როდესაც იგი არის:
   - ძალადობის და დანაშაულის მსხვერპლი
   - ბრალდებული, მსჯავრდებული ან/და მოწმე.
   - დაკავშირებულია სექსუალურ ძალადობასთან ნებისმიერი ფორმით.
2. მხოლოდ არასრულწლოვნის სახის დაფარვა არ არის საკმარისი. გარემოს აღწერითა და სხვა რესპოდენტების იდენტიფიცირებით, შესაძლებელია ბავშვის ამოცნობა, რასაც ირიბი იდენტიფიცირება ეწოდება;

3. არ უნდა გაშუქედეს ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემები სენსაციურ, სენტიმენტალურ და სტერეოტიპულ ჭრილში;

4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება აქვს ნებისმიერ ადამიანს. ახალ ამბავზე მუშაობის პროცესში სენსაციური ამბის გაშუქების და რეიტინგის სურვილმა შეიძლება ხელყოს რესპონდენტის პირადი ცხოვრება. ჟურნალისტი ვალდებულია დაიცვას რეგულაციები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ.

ბიბლიოგრაფია

1.კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989- https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0

2. საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2

3. Chalaganidze, Nino, *Coverage of Children Issues in Modern Georgian Media* (Research period: January- September 2014)- https://www.researchgate.net/profile/Nino-Chalaganidze/publication/328634963_COVERAGE_OF_CHILDREN_ISSUES_IN_MODERN_GEORGIAN_MEDIA/links/5bd99d944585150b2b93cf3d/COVERAGE-OF-CHILDREN-ISSUES-IN-MODERN-GEORGIAN-MEDIA.pdf

4. მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები, 2011- https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/Standard_media_childthemes-ge.pdf

5. ბავშვთა საკითხების გაშუქება, სახელმძღვანელო წესები, 2016 - https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-10/bavshvta-sakitxebis-gashuqeba.pdf

6. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში, 2017- https://www.qartia.ge/media/1000907/2017/12/26/9fdd88608fdf1dcc781c434605dfa9e4.pdf

7. Child abuse and the media, Chris Goddard, Bernadette J. Saunders, 2001- https://aifs.gov.au/resources/policy-and-practice-papers/child-abuse-and-media

8. Suggested Practices for Journalists Reporting on Child abuse and Neglect, National Center for Injury Prevention and Control Division of Violence Prevention- https://www.cdc.gov/violenceprevention/pdf/childmaltreatment/journalists-guide.pdf

9. ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2017-

https://www.qartia.ge/media/1000907/2017/12/26/9fdd88608fdf1dcc781c434605dfa9e4.pdf

10. ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა - უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, UNICEF - https://www.unicef.org/georgia/media/1741/file

11. ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში, ნინო დანელია, 2011- - https://mdfgeorgia.ge/uploads/Bavshvta_sakitxebis_gashukeba_qartul_satelevizio_mediashi.pdf?fbclid=IwAR2oslSmXv19VzhCd2ap1exTvnif7veJSjYRg555K8jgPjoXP71K8L9i8-o

12. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 2009- https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0

13. ბავშვები, მათი უფლებები და მედია, სოსო გაზდელიანი- http://multimedia.ciu.edu.ge/news/index/bavSvebi-maTi-uflebebi-da-media

14. Children's rights and media wrongs, Changing representations of children and the developing rights agenda, Bob Franklin, 2001 - https://www.taylorfrancis.com/chapters/edit/10.4324/9780203405963-5/children-rights-media-wrongs-bob-franklin

15. Reframing media effects in terms of children's rights in the digital age, Sonia Livingstone- http://eprints.lse.ac.uk/65156/1/Livingstone_Reframing%20media%20effect.pdf

16. McQuail's Mass Communication Theory 6th edition, Denis McQuail- http://www.bou.ac.ir/portal/file/?171392/Mass.Communication.Theory.6th.Edition-(McQuails)-.pdf

17. Mass Communication Theory, Framing Theory- https://masscommtheory.com/theory-overviews/framing-theory/

18. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია- https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf

19.ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში- http://dictionary.css.ge/content/content-analysis?fbclid=IwAR3pyGwfaQgCAL4S3c2ukeQEg6mYDeqnEOl-Cdnw9LU9mWrFckGa3XcPqPk

20.Civil, ენციკლოპედიური ლექსიკონი- http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2353

21. ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში: სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის / თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გაეროს ბავშვთა ფონდ- https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/76798

22. ქორიძე. ზ, ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედიაეთიკა საქართველოში – სიტუაციური ანალიზი. 2008 წ.

დანართი

დანართი N1- კითხვარი:

- რამდენად ეთიკურად შუქდება ბავშვთა საკითხები თანამედროვე ქართულ მედიაში?
- რა შემთხვევაშია მისაღები არასრულწლოვნის იდენტიფიკაცია ?
- თქვენი აზრით, როგორ უნდა გააშუქოს მედიამ საკითხები ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შესახებ?
- რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს საკითხის ეთიკური ნორმების დარღვევით გაშუქებამ?
- რას ფიქრობთ, რა არის ქართული მედიისთვის მთავარი გამოწვევა, რომელიც უნდა შეასრულოს საკითხის სრულფასოვნად გაშუქებისთვის?
- რამდენად ხშირად ხვდებით ქართულ ტელევიზიაში ბავშვთა საკითხებს ?
- გასულ წლებთან შედარებით ამჩნევთ თუ არა მედიის გაუმჯობესებას არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისას?
- ყველაზე ხშირად, მედიის მიერ, ბავშვის რომელი უფლებაა დარღვეული?
- რა როლს თამაშობს მედია ბავშვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში?
- რა სპეციფიკური განსხვავებაა ზოგადად, მრავალფეროვნებისა და ბავშვთა საკითხების გაშუქებას შორის?

დანართი N2- რაოდენობრივი კვლევის შედეგები: